ფინანსური სისტემის გზამკვლევი

თამაშის ასაკობრივი ზღვარი 15+
თამაში შეუძლია 2+ ადამიანს

თამაში მიმდინარეობს დაფისა და ბარათების გამოყენებით.

დაფა

დაფაზე მოცემულია ფინანსური სისტემის მონაწილე ორგანიზაციები (მათ შუამავლებსაც უწოდებენ).

ბარათები

თამაშში შეხვდებით 2 ტიპის ბარათებს:

I - შემთხვევების ბარათები

II - ფინანსური სისტემის მონაწილეების საინფორმაციო ბარათები

თამაშის აღწერა

განსაზღვრეთ მოთამაშეების რიგითობა

ნებისმიერი ფორმით: გათვლით, ფერების არჩევით, ფურცელზე დაწერით და ა.შ. მოთამაშეებმა ქვემოთ მოცემული მოქმედებები შეასრულეთ არჩეული რიგითობის შესაბამისად;

აირჩიეთ შემთხვევების ბარათი

წაიკითხეთ მასზე მოცემული შემთხვევა, თქვენი ამოცანაა, მოიქცეთ აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე და მიიღოთ გადაწყვეტილებები დაფაზე მოცემული შესაძლებლობების შესაბამისად;

გაეცანით დაფაზე მოცემულ საფინანსო ორგანიზაციებს, შუამავლებს

თითოეული მათგანის ფუნქციას შეგიძლიათ გაეცნოთ საინფორმაციო ბარათების დახმარებით.

მიიღეთ გადაწყვეტილება

შეარჩიეთ შუამავალი/შუამავლები, რომლებიც უპასუხებენ თქვენს საჭიროებებს საუკეთესოდ და როგორ;

შეაფასეთ გადაწყვეტილება

განსაზღვრეთ, რა დადებითი მხარეები და გამოწვევები აქვს თქვენს მას;

გაიაზრეთ შესაძლებლობები

გარდა თქვენი საჭიროებისა, კიდევ რა საკითხის მოგვარება შეუძლია თქვენ მიერ არჩეულ შუამავალს/შუამავლებს

შეხედეთ სისტემურად

დაფიქრდით, რეალურად რა კავშირები არსებობს დაფაზე არსებულ შუამავლებს შორის

გაითვალისწინეთ, თითოეულ შემთხვევაზე სხვადასხვა მონაწილემ შესაძლოა სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღოს.

ფინედუ

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თამაშის შედეგი

თამაში არაა ორიენტირებული გამარჯვებულის გამოვლენაზე. თამაშის ბოლოს მთავარია, მოთამაშეებს უკეთ ესმოდეთ ფინანსური სისტემისა და მისი მონაწილეების ფუნქციები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები.